

**სსიპ - კოლეჯ „ოპიზარის“**

**სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური) მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამებისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1 წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროფესიის სტანდარტების საფუძველზე.

1.2 სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“ (შემდგომში კოლეჯი) საკვალიფიკაციო გამოცდის (შემდგომში გამოცდა) ჩატარების წესის მიზანია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური) მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურებისა და პირობების განსაზღვრა.

**მუხლი 2. საკვალიფიკაციო გამოცდა**

2.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დუალური მიდგომით განხორციელების შემთხვევაში კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა გამოცდის ჩატარება.

2.2. საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩააბარა შუალედური გამოცდა და სრულყოფილად აქვს შეესრულებული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი.

2.3 გამოცდის თემატიკა ეყრდნობა კოლეჯის მიერ შემუშავებულ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და არ სცილდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ამასთანავე, გამოცდის თემატიკა ეყრდნობა შესაბამის პროფესიის სტანდარტს/სტანდარტებს ან/და შეფასების სტანდარტს/სტანდარტებს ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს.

2.4 გამოცდის თემატიკა მოიცავს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და/ან თეორიული სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევის დადასტურებას/დემონსტრირებას.

**მუხლი 2<sup>1</sup>. შუალედური შეფასება**

2<sup>1</sup>1 შუალედური შეფასების მიზანია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება და ემსახურება სასწავლო პროცესის/სასწავლო გეგმის კორექტირებასა და გაუმჯობესებას.

2<sup>1</sup>2. შუალედური შეფასების შედეგები არ წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძველს და მოიცავს იმ ცოდნისა და უნარების შეფასებას, რომლებიც მიღწეულია შესაბამისი შეფასების ჩატარებამდე.

2<sup>1</sup>3. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე.

2<sup>1</sup>4. შუალედურ შეფასებაზე მონაწილეობა წარმოადგენს დასკვნით/საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.

2<sup>1</sup>5. შუალედური შეფასება შედგება პრაქტიკული და თეორიული ნაწილებისაგან.

2<sup>1</sup>6. თეორიული და პრაქტიკული შეფასების ჩატარება ხდება შესაბამის გარემოში ერთ ან/და სხვადასხვა დღეს.

2<sup>1</sup>7. შეფასების პრაქტიკული ნაწილი გრძელდება **არა უმეტეს სამი საათისა**. პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ მას შეუძლია ზეპირად ან წერილობით სამუშაოს დაგეგმვა, შესაბამისი ინსტრუმენტების და

მასალების შერჩევა და დავალების შესრულება. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას შრომის უსაფრთხოების, ენერჯისა და მასალების რაციონალური გამოყენების საკითხები.

2<sup>18</sup>. თეორიული გამოცდის დავალებების შესრულების ხანგრძლივობა გათვალისწინებულია არა უმეტეს 90 წუთისა.

2<sup>19</sup>. პროფესიული განათლების მასწავლებელი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, ადგენს შესაბამისობას შესრულებულ სამუშაოებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს/შესრულების კრიტერიუმებს შორის და თანამშრომლობს კომპანიის ინსტრუქტორთან.

2<sup>10</sup>. შუალედური შეფასების შედეგები ფორმდება დაკვირვების პროცესის შეფასების ინსტრუმენტის (ჩეკლისტი)/წერიტი დავალების სახით.

2<sup>11</sup>. შეფასებას ახორციელებენ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი (ან/და პროგრამის ხელმძღვანელი) და კომპანიის ინსტრუქტორი პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერების ჟურნალისა და ინსტრუქტორის დაკვირვების (ჩეკლისტი)/წერიტი დავალების საფუძველზე, თითოეული პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შესაბამისობის შემოწმების გზით. შესაძლებელია ამ მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შეიქმნას შეფასების კომისია.

2<sup>12</sup>. ჩეკლისტში შესრულებული კრიტერიუმების დადასტურება ხდება შემფასებელი პირების ხელმოწერით.

2<sup>13</sup>. შუალედური შეფასების განმახორციელებელი პირები უფლებამოსილი არიან განახორციელონ:

- ა) ჩანაწერების ჟურნალის და შეფასების ინსტრუმენტების შესწავლა;
- ბ) პროფესიული სტუდენტების, კომპანიის ინსტრუქტორების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების გამოკითხვა/ინტერვიუება;
- გ) სხვა ღონისძიებების განხორციელება.

2<sup>14</sup>. შუალედური შეფასების შედეგების საფუძველზე შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები იღებენ ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას;

- ა) სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის საჭიროების ან შესაბამისობის შესახებ;
- ბ) პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.

### **მუხლი 3. საკვალიფიკაციო კომისია**

3.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, ერთი კვირით ადრე, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მტკიცდება საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა.

3.2 საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:

- ა) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებელი;
- ბ) სასწავლო პროცესის მენეჯერი;
- გ) პარტნიორი საწარმოს წარმომადგენელი;
- დ) შესაბამისი მიმართულების პროფესიული ასოციაციის ან/და დამსაქმებლის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
- ე) საჭიროების შემთხვევაში, იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს მსგავსი მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
- ვ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა საჯარო ან კერძო დაწესებულების წარმომადგენელი.

3.3 საკვალიფიკაციო კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ 5 წევრისაგან.

3.4 საკვალიფიკაციო კომისია გადაწყვეტილების მიღების უნარიანია, თუ მას ესწრება საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა არანაკლებ 3/4-ისა.

3.5 საკვალიფიკაციო კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ხმათა უმრავლესობით ირჩევენ საკვალიფიკაციო კომისიის წევრები.

3.6 საკვალიფიკაციო კომისია, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისიის წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტი ხმის უფლება ენიჭება კომისიის თავმჯდომარეს.

3.7 საკვალიფიკაციო კომისიის ფუნქციებია:

- ა) საგამოცდო საკითხების შემუშავება;
- ბ) განმეორებითი საგამოცდო თარიღისა და ადგილის განსაზღვრა;
- გ) განმეორებითი გამოცდის საკითხების შემუშავება;

- დ) კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ე) შესრულებული სამუშაოს ანგარიშის კოლეჯის ადმინისტრაციისათვის წარდგენა.

#### **მუხლი 4. გამოცდისათვის მომზადება**

- 4.1 კოლეჯს უფლება აქვს გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა და ითანამშრომლოს გამოცდის მოსამზადებლად.
- 4.2 კონკრეტული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგამოცდო საკითხებს შეიმუშავენ საკვალიფიკაციო კომისია.
- 4.3 საგამოცდო საკითხები, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, იქმნება ამ წესის დანართი N1-ის შესაბამისად.
- 4.4 გამოცდის შეფასების ფორმა უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
  - ა) დავალების შინაარსი;
  - ბ) დავალების შესრულების დრო და ადგილი;
  - გ) შეფასების კრიტერიუმები;
  - დ) დავალების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და პირობები;
  - ე) გამოცდის ორგანიზებისათვის დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში).
- 4.5 საგამოცდო საკითხები ცნობილია მხოლოდ საკვალიფიკაციო კომისიის წევრებისათვის და აღნიშნული წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, გამოცდის საკითხების შემუშავებიდან გამოცდის დასრულებამდე.
- 4.6 შესაფასებელ პირს ერთი კვირით ადრე მიეწოდება ინფორმაცია გამოცდის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერი ფორმით.

#### **მუხლი 5. გამოცდის ჩატარება**

- 5.1 გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს თეორიული, პრაქტიკული ან/და თეორიულ-პრაქტიკული გამოცდის სახით.
- 5.2 გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს კოლეჯის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ (საწარმოში).
- 5.3 გამოცდის მსვლელობისას შესაძლებელია განხორციელდეს ფოტო გადაღება ან/და აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერა;
- 5.4 გამოცდას ესწრებიან შესაბამისი ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო კომისიის წევრები.
- 5.5 გამოცდაზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო კომისიის წევრი, რომელიც ვერ ცხადდება გამოცდაზე, მინიმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე, ატყობინებს კოლეჯის ადმინისტრაციას, რის შემდეგაც გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.
- 5.6 საჭიროების შემთხვევაში, გამოცდას ესწრებიან ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ფოტო და/ან ვიდეო გადაღებას, ასევე, საკვალიფიკაციო კომისიის ოქმის მომზადებას.
- 5.7 გამოცდის მსვლელობისას დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკვალიფიკაციო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს, დანართის სახით.

## **მუხლი 6. აპელაცია**

- 6.1 გამოცდის შედეგები წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერად სტუდენტს ეცნობება გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.
- 6.2 სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს გამოცდის შედეგები მათი გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას.
- 6.3 სტუდენტი ვალდებულია განცხადებაში მიუთითოს საკვალიფიკაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რომელ ნაწილს არ ეთანხმება.
- 6.4 კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს სტუდენტის განცხადების ფორმალურ შესაბამისობას, კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სააპელაციო საბჭოს შემადგენლობას.
- 6.5 სააპელაციო საბჭო შედგება:
1. კოლეჯის იურისტი;
  2. დარგის სპეციალისტი;
  3. პროფესიული ასოციაციის წარმომადგენელი ან დამსაქმებელი;
- 6.6 სააპელაციო საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს საკვალიფიკაციო კომისიის წევრი /წევრები, მომჩივანი მხარე და მოისმინოს მათი ახსნა-განმარტება.
- 6.7 სააპელაციო საბჭოს ფუნქციებია:
- ა) შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.
  - ბ) გამოიკვლიოს და შეისწავლოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება;
- 6.8 სააპელაციო საბჭო, ხმათა უმრავლესობით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
- ა) საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ;
  - ბ) საკვალიფიკაციო კომისიისთვის გადაწყვეტილების ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.
- 6.9 დაუშვებელია სააპელაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდეს საკვალიფიკაციო კომისიის წევრი.
- 6.10 სააპელაციო საბჭო გადაწყვეტილება იღებს ამავე მუხლის 6.4 პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
- 6.11 საკვალიფიკაციო კომისია განმეორებით განიხილავს სააპელაციო საბჭოს მიერ მისთვის დაბრუნებლ გადაწყვეტილებას და, სათანადო დასაბუთებით, ცვლის ან უცვლელად ტოვებს მის მიერ მიღებულ თავდაპირველ გადაწყვეტილებას, რისთვისაც საკვალიფიკაციო კომისიას განესაზღვრება 5 სამუშაო დღე.

## **მუხლი 7. განმეორებითი გამოცდა**

- 7.1 დაუშვებელია შუალედური/საკვალიფიკაციო გამოცდის გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე. გაცდენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შუალედურ/საკვალიფიკაციო გამოცდაში გაუფორმდება „არ გამოცხადდა“.
- 7.2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია შუალედური/საკვალიფიკაციო გამოცდის გაცდენის შემთხვევაში გამოცდის დაწყებამდე აცნობოს კოლეჯსა და სასწავლო საწარმოს გაცდენის მიზეზის შესახებ.

7.3 საკვალიფიკაციო გამოცდაზე გაუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შეთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, გამოცდის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, განცხადებით მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას და მოითხოვოს გამოცდის განმეორებით დანიშვნა, ხოლო დამატებით შუალედურ შეფასებაზე გასვლის უფლება აქვს შუალედური ესასების ჩატარებიდან 10დღის ვადაში.

7.4 განმეორებითი გამოცდისათვის იქმნება განახლებული საგამოცდო საკითხები.

7.5 ამავე მუხლის 7.3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა თითოეულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთჯერადად.

#### **მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი**

8.1 წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

საკვალიფიკაციო გამოცდის ფორმა

პროფესიული პროგრამა		
საკვალიფიკაციო კომისიის წევრის სახელი და გვარი		
ჯგუფის N		
პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი		
სტუდენტის პირადი ნომერი		
სტუდენტის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, მეილი)		
გამოცდის ფორმა	ა. თეორიული	ბ. პრაქტიკული
თარიღი		
ადგილი		
საგამოცდო საკითხების რაოდენობა		
ჩაბარებულად ჩათვლილი საგამოცდო საკითხების რაოდენობა		
გადაწყვეტილება	გამოცდა ჩაითვალა ჩაბარებულად	
	ა. დიახ	ბ. არა
კომისიის წევრის კომენტარი		
კომისიის წევრის ხელმოწერა		

საგამოცდო საკითხები

N	
საგამოცდო საკითხი	
დავალება, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა (აღწერეთ დაწვრილებით)	
დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო	
დავალების შესრულების ადგილი (A, B, C გარემო) მისამართის მითითებით	
დავალების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი	
დამატებით ინფორმაცია	
რა შემთხვევაში ჩაითვლება საგამოცდო საკითხი ჩაბარებულად	საკითხი ჩაითვლება ჩაბარებულად თუ პროფესიული სტუდენტი მიიღებს დადებით შეფასებას „დიახ“ ____ შეფასების კრიტერიუმში
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმი დადასტურდა

1		ა. დიახ	ბ. არა
2		ა. დიახ	ბ. არა
3		ა. დიახ	ბ. არა
4		ა. დიახ	ბ. არა
5		ა. დიახ	ბ. არა
6		ა. დიახ	ბ. არა
7		ა. დიახ	ბ. არა
8		ა. დიახ	ბ. არა
9		ა. დიახ	ბ. არა
10		ა. დიახ	ბ. არა
გადაწყვეტილება		საკითხი ჩაითვალოს ჩაბარებულად	
		ა. დიახ	ბ. არა
კომისიის წევრის კომენტარი			
კომისიის წევრის ხელმოწერა			

	N		
	საგამოცდო საკითხი		
	დავალემა, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა (აღწერეთ დაწვრილებით)		
	დავალემა შესასრულებლად გამოყოფილი დრო		
	დავალემა შესრულების ადგილი (A, B, C გარემო) მისამართის მითითებით		
	დავალემა შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი		
	დამატებით ინფორმაცია		
	რა შემთხვევაში ჩაითვლება საგამოცდო საკითხი ჩაბარებულად	საკითხი ჩაითვლება ჩაბარებულად თუ პროფესიული სტუდენტი მიიღებს დადებით შეფასებას „დიახ“ ____ შეფასების კრიტერიუმში	
	შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმი დადასტურდა	
1		ა. დიახ	ბ. არა
2		ა. დიახ	ბ. არა
3		ა. დიახ	ბ. არა
4		ა. დიახ	ბ. არა
5		ა. დიახ	ბ. არა
6		ა. დიახ	ბ. არა

7		ა. დიახ	ბ. არა
8		ა. დიახ	ბ. არა
9		ა. დიახ	ბ. არა
10		ა. დიახ	ბ. არა
გადაწყვეტილება		საკითხი ჩაითვალოს ჩაბარებულად	
		ა. დიახ	ბ. არა
კომისიის წევრის კომენტარი			
კომისიის წევრის ხელმოწერა			